პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

შაბათი, 11 ივნისი, 1949 წ. № 115 (8418). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

გულისხმიერად ვზარდოთ ახალგაზრდა მუშათა კვალიფიციური კადრები — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე (მე-2 გვერდი).
ა. ნატროშვილი, გ. პაპალაშვილი — მეცნიერების მუშაკთა აღოცანები მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).
ა. თომაძე — საზაფხულო იალაღებისაკენ (მე-2 გვერდი).
მარინე იაშვილი—მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი (მე-2 გვერდი).
ლიუ შაო-ცი—ინტერნაციონალიზმისა და ნაციონალიზმის შესახებ (მე-3 გვერდი).
საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

გულისხმიერად ვზარდოთ ახალგაზრდა მუშათა კვალიფიციური კადრები

პირველი ივნისიდან დაიწყო ახალგაზრდობის მიღება ჩვენი ქვეყნის სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში, რაც აგვისტოს ბოლოს უნდა დამთავრდეს. წინა წლებისაგან განსხვავებით, წელს აღნიშნული სასწავლებლები მთლიანად უნდა დაკომპლექტდეს სრული ნებაყოფლობის საფუძველზე, ამასთანავე პირველად არის შემოღებული შემოწმებითი გამოცდები საშუალო სკოლის ოთხი კლასის პროგრამის მოცულობით. წარმოების ზოგიერთი დარგებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით მაღალკვალიფიციურ მუშათა კადრებს საჭიროებენ, ასეთი კადრების მომზადების მიზნით სასწავლებლებში მიიღებიან მხოლოდ ის ახალგაზრდები, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლის არანაკლებ 7 კლასისა.

ჩვენი რესპუბლიკის მზარდი მრეწველობა ყოველწლიურად დიდძალ მაღალკვალიფიციურ მუშახელს მოითხოვს. კვალიფიციურ მუშათა მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზრდება ჩვენში რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების, გორის ბამბეულის კომბინატისა და მთელ რიგ სხვა ახალ საწარმოთა ამუშავების შემდეგ.

ახალგაზრდა კვალიფიციურ მუშათა მომზადების ძირითადი სამეცადინო სახელოსნო სასწავლებლები და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებია. თუ რა დიდ მუშაობას ეწევიან ეს სკოლები და სასწავლებლები, ამის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მათ მოამზადეს და რესპუბლიკის მრეწველობას მიაწოდეს მრავალი ათეული ათასი ახალგაზრდა მუშა.

საქართველოში 19 სახელოსნო და ორი რკინიგზის სასწავლებელია. ამ სასწავლებლებში ათასობით ახალგაზრდა ეუფლება მჭედლის, ზეინკლის, ხარატის, ლითონამსხმელის, დურგლის, ელექტრომონტიორის, ორთქლმავლების და ელექტრომავლების მემანქანის თანაშემწისა და მრავალ სხვა პროფესიას.

მთელი რიგი სახელოსნო სასწავლებლების ხელმძღვანელები, პედაგოგები და ოსტატები ენერგიის დაუზოგავად შრომობენ იმისათვის, რომ სოციალისტურ მრეწველობას მოუმზადონ მაღალკვალიფიციურ მუშათა ახალგაზრდა კადრები. ნაყოფიერი მუშაობით განსაკუთრებით გამოირჩევა თბილისის მე-5 სახელოსნო სასწავლებელი. ამ სასწავლებლის მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა სანიმუშოდ დაეუფლა პროფესიებს, ზოგიერთი მათგანი ერთდროულად ორ-სამ დაზგას უწევს მომსახურებას. სასწავლებელში ბევრმა ითვისა ლითონის ჩქარი ჭრის მეთოდები. მარტო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში აქ მოსწავლეებმა გამოუშვეს ათობით დაზგა და დიდძალი საზეინკლო ინსტრუმენტი. მოპოვებული წარმატებისათვის სასწავლებელს ამ დღეებში გადაეცა შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. მუშათა ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე თბილისის მე-14, მე-12 და მე-6, ქუთაისის მე-4, ბათუმის პირველმა სახელოსნო და რკინიგზის მე-2 სასწავლებლებმა.

სახელოსნო სასწავლებლებიდან საწარმოებში სამუშაოდ მივლინებულ ახალგაზრდა მუშათა გულისხმიერი მოპყრობის, მათდამი მზრუნველობის სანიმუშო მაგალითებს გვიჩვენებენ თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მოქმედი საწარმოების საძეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები. ამ საწარმოებსა და რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა საწარმოებში სახელოსნო სასწავლებლებიდან მოვლინებული ახალგაზრდა მუშებისათვის შექმნილია მაღალნაყოფიერი შრომის, კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების, კულტურული მომსახურების ყველა პირობა.

მორიგი მიღება სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს შრომითი რეზერვების საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოს, სასწავლებელთა ხელმძღვანელებს და კომკავშირულ ორგანიზაციებს. ახალგაზრდობას ფართოდ უნდა გავაცნოთ შრომითი რეზერვების სასწავლებელთა წინაშე მდგომი ამოცანები, მოსწავლეთა სწავლების, მუშაობისა და საყოფაცხოვრებო პირობები, ამ მიზნით გამოვიყენოთ აგიტაციის სხვადასხვა საშუალებანი — მოხსენებები, ლექციები, საუბრები, პრესა, რადიო. დიდი მნიშვნელობა ექნება აგრეთვე სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლების მოსწავლეთა საგიტაციო ბრიგადების მივლინებას რაიონებში, სადაც ისინი ახალგაზრდობას მოუთხრობენ თავიანთ სწავლასა და მუშაობაზე.

მთელ ამ საქმეში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში მორიგი მიღებისა და ახალი სასწავლო წლისათვის სანიმუშოდ მომზადების საქმეში.

სახელოსნო სასწავლებლებში ახალგაზრდობის მიღებასთან ერთად ზაფხულის პერიოდი მაქსიმალური ნაყოფიერებით უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ სასწავლებლები მოვამზადოთ ახალი ნაკადის შესახვედრად. აუცილებელია სასწავლებელთა შენობების დროულად შეკეთება, სასწავლო კაბინეტების შევსება თვალსაჩინო ხელსაწყოებით, სახელოსნოების წესრიგზე მოყვანა, ინსტრუმენტების შეძენა, სახელოსნოებში არსებული დაზგების ერთი ნაწილის გადაყვანა მუშაობის ჩქაროსნულ მეთოდებზე, სასწავლებლების დაკომპლექტება კვალიფიციური ოსტატებით.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლების, სასადილოების, წითელი კუთხეებისა და სასპორტო მოედნების უზრუნველყოფას საჭირო ავეჯით, სხვადასხვა გასართობი, პოლიტიკური, ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურით, ჟურნალ-გაზეთებით. მუდამ უნდა გვახსოვდეს ამხანაგ კ. ჩარკვიანის მითითება:

„ახალგაზრდა მუშების შესანარჩუნებლად აუცილებელია ძირეულად გავაუმჯობესოთ კულტურულ-საგანმათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობა სახელოსნო სასწავლებლებსა და სკოლებში. საწარმოებში გადასული ახალგაზრდა მუშები უნდა გრძნობდნენ სპეციალურ მზრუნველობას პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციების და, პირველ რიგში, კომკავშირის ორგანიზაციის მხრივ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ახალგაზრდა მუშებს შეუყვარდეთ წარმოება, თავიანთი პროფესია, ქალაქად ცხოვრება“.

წარმატებით ჩავატაროთ მორიგი მიღება სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში, გულისხმიერად ვზარდოთ მუშათა ახალგაზრდა კვალიფიციური კადრები.

ჩვენს რესპუბლიკაში

* * * * *

მეს-ები ემზადებიან მოსავლის ასაღებად

ფითელწყაროს. (საკ. კორ.). ფითელწყაროს მტს-ის კოლექტივმა კომბაინებისა და სალეწების რემონტის გეგმა ვადამდე 15 დღით ადრე შეასრულა. ახლა აქ 50 კომბაინი სავსებით მზად არის სამუშაოდ. თვითეული კომბაინისათვის შედგენილია მოსავლის აღების გეგმა — მარშრუტი. მზად აქვთ ტრაქტორები, რომლებიც განკუთვნილია მოსავლის ასაღებად. კომბაინთა ნაწილი უკვე სამუშაო ფართობებშია და უცდის მკის დაწყების პირველ სიგნალს. მოსავლის აღების დღეებში იმუშავებს ორი მოძრავი სახელოსნო. ყოველი აგრეგატი მტს-ის დირექციასა და სახელოსნოსთან დაკავშირებული იქნება რადიოთი.

მტს-ის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მოსავალი უდანაკარგოდ აიღოს 10-12 სამუშაო დღეში, ხოლო მკის დამთავრების შეორე-მესამე დღეს მოაწყოს ნაწვერალის აოშვა.

კომბაინერები შ. მოსაშვილი, გ. დარჩიაშვილი, ა. გიგოლაშვილი და გ. დოლიძე პირადად მონაწილეობენ კოლმეურნეობებში მოსავლის აღების კონკრეტული გეგმის შედგენაში.

მოსავლის აღებისათვის მზად არის აგრეთვე შირაქის მტს-ი, რომელმაც სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია წითელწყაროს მტს-ი.

მალე დაიწყება ქერისა და ხორბლის შერჩევითი აღება. უეჭველია, რომ წელს წითელწყაროელები ახალ წარმატებას მოიპოვებენ.

მოწინავე მეაბრეშუმეები

ვანის რაიონში დაიწყო აბრეშუმის პარკის დამზადება. სოფელ სალხინოს კოლმეურნეობა „კომუნარის“ წევრმა ოლია ძაგნიძემ 7 გრამი თესლიდან სახელმწიფოს ჩააბარა 33 კილოგრამი პარკი, ნაცვლად 18 კილოგრამისა, გეგმა შეასრულა 185 პროცენტით, შურა ძაგნიძემ, რომელიც უვლიდა 12 გრამ თესლიდან გამოყვანილ ჭიას, ჩააბარა 51 კილოგრამი პარკი, გეგმა კი 30 კილოგრამს ითვალისწინებდა.

სოფელ მთისძირის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმემ ალექსანდრა გვენეტაძემ 9 გრამი თესლიდან მიიღო 54 კილოგრამი პარკი, გეგმა შეასრულა 239 პროცენტით, ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა სერაფიმა შენგელიამ სამი გრამიდან ჩააბარა 24 კილოგრამი, ნაცვლად 8 კილოგრამისა, ტატიანა შენგელიამ 7 გრამიდან—50 კილოგრამი. მეაბრეშუმეებმა ლ. ნაფეტვარიძემ და თ. ნაფეტვარიძემ აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს.

ახალი რადიოკვანძი

თიანეთი. (საკ. კორ.). რაიონულ ცენტრში დადგეს 500-ვატიანი რადიოკვანძი, რომელიც მომსახურებას უწევს თიანეთის, ბაღიანებისა და ყებოტის კოლმეურნეობებს.

მიმდინარეობს მუშაობა ახლო მომავალში რაიონის ყველა სოფლის რადიოფიკაციისათვის.

გაჩდამავალი დროშა № 5 სახელოსნო სასწავლებელს

რესპუბლიკის სახელოსნო სასწავლებლებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით გამარჯვება მოიპოვა თბილისის № 5 სახელოსნო სასწავლებელმა, რომელსაც ამ დღეებში საზეიმოდ გადაეცა სსრ კავშირის შრომითი რეზერვების სამინისტროს საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

სასწავლებლის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა საკავშირო ალკკ XI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მოსწავლეებმა გამოუშვეს „ტ—4“ სისტემის ათობით დაზგა და მრავალი საზეინკლო ინსტრუმენტი, მათ შორის ხუთი დაზგა გამოშვებულია გეგმის გადამეტებით, წარმოებაში დანერგეს ლითონის ჩქარი ჭრის მეთოდები. მრავალი მოსწავლე ერთდროულად უწევს მომსახურებას ორ-სამ სახარატო დაზგას.

სასწავლებლის დირექტორმა ამხ. ვ. ნაცვლიშვილმა დროშის გადაცემისას პირობა დადო, რომ როგორც სკოლის ხელმძღვანელები, ისე მოსწავლეები მთელი ენერგიით იბრძოლებენ ახალ წარმატებათა მოპოვებისა და საპატიო ჯილდოს შენარჩუნებისათვის.

ახალგაზრდები ეუფლებიან წარმოების ტექნიკას

ჭიათურა. (საკ. კორ.). აქ საქარხნო-საფაბრიკო სწავლების სამი სკოლაა. ისინი მაღალკვალიფიციურ კადრებს უმზადებენ მარგანეცის წარმოებას. კარგი მუშაობით გამოირჩევა № 33 სკოლის კოლექტივი (დირექტორი დ. ხარაძე). სკოლა ამზადებს მნგრეველებს, შემანქანეებს, ამწმენდებს, მებიგეებს. მოსწავლეები მუშაობენ ლენინის სახელობის მაღაროს მეოთხე და სტალინის სახელობის მაღაროს მეორე უბნებში. ეს უბნები გამოირჩევიან მაღალნაყოფიერი მუშაობით. მათ 25 მაისისათვის შეასრულეს ხუთი თვის დავალება.

სკოლის დირექციის თაოსნობით მოეწყო ახალგაზრდების შეხვედრა ძველ მაღაროელებთან ტ. ფოფხაძესთან, არ. ძინძიბაძესთან, ს. ოთინაშვილთან და ვ. ბუღაძესთან. გამოცდილი მაღაროელები ახალგაზრდებს ესაუბრნენ თავიანთი მუშაობის მეთოდებზე. ამ საუბრებმა ახალგაზრდებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

სკოლაში სერიოზული ყურადღება ექცევა ახალგაზრდების კულტურულ-პოლიტიკურ აღზრდას. მათთან ეწყობა ლექციო-საუბრები, უჩვენებენ კინოსურათებს, მოსწავლეები ჩაბმული არიან წრეობრივ მუშაობაში.

ამ დღეებში აქ მიიღეს ცნობა, რომ სკოლას კარგი მუშაობისათვის მიეკუთვნა რესპუბლიკაში პირველი ადგილი და გადაეცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ შრომითი რეზერვების სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა.

გაუმჯობესებული კონსტრუქციის დაზგები

თბილისის დაზგათმშენებელ ქარხანა „დაზგაში“ წარმოებს მილხრახნმჭრელი დაზგის მოდერნიზაციის სამუშაოები ინჟინერ-კონსტრუქტორ გ. გოგისვანიძის პროექტის მიხედვით. მოდერნიზაცია ითვალისწინებს მილსაჭრელი ხრახნის დიამეტრის მნიშვნელოვან გადიდებას. უახლოეს დღეებში ქარხანა გამოუშვებს ამ მოდერნიზებული დაზგის პირველ ეგზემპლარებს, რის შემდეგ დაიწყება მისი სერიული წარმოება.

ახლო მომავალში ქარხანა აითვისებს აგრეთვე გაუმჯობესებული კონსტრუქციის ხრახნსაგლინავი დაზგის წარმოებას. მექანიკური მექანიზმები, რაც ამ ტიპის წინანდელ დაზგებს ჰქონდა, შეცვლილი იქნება ჰიდრავლური მექანიზმებით. ამით გაუმჯობესდება დაზგის საექსპლოატაციო და ტექნიკური თვისებები და მნიშვნელოვნად გადიდდება მისი წარმადობა.

ზესტაფონელ მეზაღურგთა მიღწევები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა ახალი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა—მაისის გეგმა 100,8 პროცენტით, ხოლო ხუთი თვის დავალება 100,5 პროცენტით შეასრულა და მარტო მაისში დაზოგა 740 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

განსაკუთრებით დაწინაურდნენ ცალკეული საამქროები. მაგალითად, მარგანეცის საამქრომ მაისის გეგმა 111.8 პროცენტით შეასრულა, მეოთხე საამქრომ—123,6, ელექტროდების საამქრომ—105, მოლიბდენის საამქრომ — 107, სატრანსპორტო საამქრომ—137, აჯამეთის კარიერებმა—148 პროცენტით და სხვ.

ზესტაფონელი მეტალურგები იბრძვიან იმისათვის, რომ ვადამდე შეასრულონ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ ასეული ტონა მაღალხარისხოვანი ლითონი.

საცხოვრებელი სახლები ღოკომოტივსარემონტო ქარხანასთან

ავჭალის გზატკეცილზე, ლოკომოტივსარემონტო ქარხნის მახლობლად, ამავე ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის შენდება სოციალისტური დაბა. დღემდე აშენებული და საექსპლოატაციოდ არის გადაცემული შვიდი ორსართულიანი, ორი სამსართულიანი და ერთი ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი. აშენებულია აგრეთვე საქარხნო-საფაბრიკო სკოლის სამსართულიანი შენობა.

ამჟამად დამატებით შენდება ოთხი ორსართულიანი და ერთი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი. მშენებლობაზე ნაკადური მეთოდის დანერგვით მშენებლებმა უზრუნველყვეს პირველი კვარტალის გეგმის წარმატებით შესრულება.

მოძრავი გამოფენა „მიჩურინული ბიოლოგიის გამარჯვება“

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის სახელმწიფო მუზეუმმა მოაწყო ძოძრავი გამოფენა „მიჩურინული ბიოლოგიის გამარჯვება“, რომელიც განლაგებულია 7 განყოფილებად და ასახავს მიჩურინული მოძღვრების მიღწევებს ჩვენს ქვეყანაში. გამოფენა ასახავს მიჩურინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ტიმირიაზევის, ვილიამსის, ლისენკოს და სხვათა მიღწევებს სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების დარგში.

გამოფენაზე წარმოდგენილია მასალები ადგილობრივი მიჩურინელების — ქსენია ბახტაძის, ქართული ჯიშის ცხვრის გამომყვანის ა. ნატროშვილის, ბათუმის ბოტანიკური ბაღის მეცნიერ მუშაკების კ. შანიძის და ძმების კლიმენტიკების, მცდელი აგრონომებისა და მოწინავე კოლმეურნეების, ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, ყურძნის და სხვა კულტურათა უხვი მოსავლის ოსტატების — სოციალისტური შრომის გმირების გამოცდილებისა და მიღწევების შესახებ. გამოფენა მდიდარია ფოტოსურათებით, დიაგრამებით.

პიონერთა სახლის კეთილმოწყობა

ცხაკაია. (საკ. კორ.). კომკავშირის რაიონული კომიტეტის ინიციატივით დაიწყო პიონერთა სახლის კეთილმოწყობა. კომკავშირის პირველადმა ორგანიზაციებმა პიონერთა სახლისათვის შეაგროვეს 300 სკამი, შეძენილია წიგნების 4 კარადა, ინვენტარი, ლიტერატურა.

შენობას, რომელშიც პიონერთა და კულტურის სახლები იყო მოთავსებული, გაუკეთდება რემონტი და მთლიანად პიონერთა სახლს დაეთმობა.

საკოლმეურნეო აბანოები

ხაშური. (საკ. კორ.). ალის, წეღევრის, დიდი ფლევის, ხცისისა და დიდი ღუდის კოლმეურნეობებმა საკუთარი ინიციატივითა და რესურსებით დაამთავრეს საკოლმეურნეო აბანოების მშენებლობა და კეთილმოწყობა.

ახალი მშენებლობანი კოლმეურნეობებში

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ კონჭკათის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყო კანტორისა და საკოლმეურნეო კლუბის ორსართულიანი შენობის აგება.

მშენებლობა გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს. მშენებლობაზე დაიხარჯება 500.000 მანეთი. გარდა კლუბისა, შენობას 24 ოთახი ექნება.

ხარაგოული. (საკ. კორ.). სოფელ წაქვის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობა აშენებს აგურის ორსართულიან შენობას, რომელშიც მოთავსდება კოლმეურნეობის საწყობი, კანტორა და საკოლმეურნეო კლუბი.

მშენებლობა დამთავრების პროცესშია, იგი მალე გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

სოციალისტური შრომის გმირები

ბ. ბ. ბუნია

ოჩამჩირის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 105,8 ცენტნერი ხიმინდის მიღებისათვის.



ს. უ. სადიკოვი

მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 29,6 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქოს მიღებისათვის.

ბ. მ. ბრბაშიანი

ოჩამჩირის რაიონის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 21 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 16,8 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მიღებისათვის.

ლ. ა. ელეჭჩიანი

ოჩამჩირის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 24,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 16,8 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მიღებისათვის.

მ. ტ. საფარი

მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 29,9 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქოს მიღებისათვის.

მ. თ. არშბა

ოჩამჩირის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 12 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 16,5 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მიღებისათვის.

აღგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

მუშები — სამეცნიერო, საინჟინრო-ტექნიკური საზოგადოებების წევრები

განუხრელად მაღლდება ჩვენს ქვეყანაში მუშების კულტურულ-ტექნიკური დონე. თანდათანობით ისპობა დაპირისპირება გონებრივ შრომასა და ფიზიკურ შრომას შორის. მტკიცე საფუძველი იქმნება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლისათვის. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ჩვენი მოწინავე მუშები: პატრიოტული, ნოვატორული შრომის ურიცხვი მაგალითი, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ ამიერკავკასიის რკინიგზის მოწინავე მუშების სამეცნიერო-ტექნიკური მუშაობაც.

მოწინავე რკინიგზელი მუშების სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს გაზეთი „სტალინური ლოკომოტივი" 14 მაისის ნომერში. გაზეთი წერს:

„ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმოთა 22 მოწინავე მუშა მიღებულია საგზაო სამეცნიერო საინჟინრო-ტექნიკური საზოგადოების წევრად. მათ შორის არის უფროსი მემანქანე ნ. ყიფიანი. მის ორთქლმავალს რკინიგზაზე უწოდებენ „ორთქლმავალ-ლაბორატორიას". ამ ლოკომოტივზე დადგმულია მემანქანე-ნოვატორის მიერ გამოგონებული სხვადასხვა მოწყობილობა: ახალი კონუსებრი თავი, რომელიც უზრუნველყოფს სათბობის მნიშვნელოვან ეკონომიას, ფორსის კონუსის გაზსადენი, რომელიც იძლევა დატვირთვის თანაზომიერ განაწილებას ორთქლის ქვაბის მილებში და ა. შ.

სამეცნიერო საზოგადოების წევრებს შორის არიან აგრეთვე წარჩინებული მეელმავლე მ. შიუკაშვილი, ლენინელი მემანქანე გ. აბაჯიანი, რომელმაც თავისი ორთქლმავლით ურიმონტოდ გაიარა მილიონნახევარი კილომეტრი, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველი მჭედელი კ. ილურიძე, რომელმაც რვანახევარი წლიური ნორმა შეასრულა და სხვ".

ქრება განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის

28 წელია, რაც საბჭოთა წყობილება დამყარდა საქართველოში. ისტორიის თვალსაზრისით ეს მეტად მცირე დროა, მაგრამ რა დიდი ცვლილებები მოხდა ამ ხნის განმავლობაში, რა სწრაფად იცვალა სახე ჩვენმა სოფელმა, რა შეუნელებელი ნაბიჯებით წავიდა წინ მისი სამეურნეო-კულტურული ცხოვრება!

დოვლათიანმა საკოლმეურნეო შრომამ ყოველგვარი პირობა შექმნა სოციალისტური სოფლის აღმავლობისა და კულტურული დაწინაურებისათვის. წარსულს ჩაბარდა ფარღალალა ქოხები, დუხჭირი, უხალისო ცხოვრება. ახლა კოლმეურნე გლეხები შეძლებულად ცხოვრობენ, მშვენიერ სახლებს იშენებენ, რომელთა ოთახებიც ავეჯითაა მორთული.

მეფის ხელისუფლების დროს უკიდურესად ჩამორჩენილი სამხრეთ ოსეთის სოფლები დღეს გაჩირაღდნებულია ილიჩის ნათურებით. ამის შესახებ მოგვითხრობს გაზეთი „საბჭოთა ოსეთი":

„ახლა ჩვენი ოლქის ოცდათოთხმეტ საკოლმეურნეო სოფელს ანათებენ ილიჩის ნათურები. ელექტროსადგურები აშენდა ვანათში, ერედვში, ბელოთში. ნულის, იკოთის, ქურთის კოლმეურნეობები ჩქარა მიიღებენ ელექტროსინათლეს საკუთარი ელექტროსადგურებიდან"

ელექტროფიკაციამ მტკიცე ბაზა შეუქმნა სოფლის რადიოფიკაციას, რომელიც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ამის შესახებაც გაზეთი იქვე აღნიშნავს:

„ლენინგორის რაიონში დადგმული მძლავრი რადიოკვანძი მომსახურებას გაუწევს 21 კოლმეურნეობას.

უახლოეს ხანში რადიოკვანძის მშენებლობა დაიწყება ჩვენი ოლქის ერთ-ერთ უშორეს კოლმეურნეობაში — როკაში. რადიოკვანძი დაიდგმება აგრეთვე სოფელ ვანათში.

მეოთხე სტალინური ხუთწლედის მეოთხე გადამწყვეტ წელს სულ რადიოფიცირებული იქნება ოლქის 50 კოლმეურნეობა".

საკოლმეურნეო სოფელში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ელექტროგანათება, რადიო. შემცირდა განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, საკოლმეურნეო სოფელი უახლოვდება სამრეწველო ცენტრის კულტურულ-სამეურნეო დონეს.

საზაფხულო იალაღებისაკენ

შესანიშნავი სანახავია გუდამაყრის ხეობა ამ დღეებში. არაგვის ჭალებში, მთის ფერდობებზე, საკოლმეურნეო სოფლების მახლობლად, ყველგან, სადაც კი თვალი მისწვდება, თეთრად გაშლილან საზამთრო საძოვრებიდან ახლახან დაბრუნებული ცხვრის ფარები. დაკუნტრუშებენ ბამბასავით თეთრი ბატკნები, ბღავიან დედა ცხვრები, ერთმანეთს უტევენ რქებგადაგრეხილი ჭედილები, ისმის მწყემსების მხიარული გადაძახილი, სიმღერა, ფანდურის ხმები... კიდევ უფრო ლამაზია გუდამაყარი ღამით. მეცხვარეთა კოცონები, საკოლმეურნეო სოფლების შუქი, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, მდუმარე მთები... ყველაფერი ეს დიდებულ სურათს ქმნის.

საამაყო წარმატებებით დაბრუნდნენ საზამთრო საძოვრებიდან გუდამაყრელი მეცხვარეები. საბჭოთა მთავრობისა და ბოლშევიკური პარტიის მიერ მიღებულმა დადგენილებამ საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებამ მეცხოველეობის მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ გუდამაყრელებში უდიდესი აღფრთოვანება და ახალი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია. როდესაც საზამთრო საძოვრებზე ამ დოკუმენტებს გაეცნენ, ყველა მწყემსი, მწველავი, ბრიგადირი, ფერმის გამგე ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში. „მივცეთ ქვეყანას მეტი ხორცი, ერბო, ყველი, მატყლი!"— აი გუდამაყრელთა საბრძოლო მოწოდება, რომლის შესრულებისათვის ისინი თავდადებულად შრომობენ.

არა მარტო გუდამაყარში, არამედ მთელ რაიონშია ცნობილი სოფელ ჩოხის კოლმეურნეობა „შრომის დროშა". ეს კოლმეურნეობა მარტო იმით კი არ არის განთქმული, რომ მას ყველაზე მეტი ცხვარი და ძროხა ჰყავს და მისი შრომადღე ყველაზე დოვლათიანია, არამედ იმითაც, რომ ჩოხელებს ჰყავთ პირუტყვის მოვლისა და გამოზრდის ცნობილი ოსტატები, საზოგადოებრივი მეცხოველეობის მოწინავე ადამიანები.

აი ჭალარაშერეული ბურთა აფციაური, რომელიც 25 წელია მეცხვარეობას ეწევა. მას ჯერ არ ჰქონია შემთხვევა, რომ საძოვრებიდან ცუდი მაჩვენებლით დაბრუნებულიყოს. ამჟამად ბურთა მეცხვარეობის ფერმის ბრიგადირია, დიდი მონდომებითა და სიყვარულით უვლის კოლმეურნეობის ცხვარს. შედეგიც საუკეთესო მიიღო. წელს მან 1.100 სული დედაცხვარიდან 1.205 ბატკანი შეინარჩუნა. ბურთას დიდიხანია ეჯიბრება ამავე ფერმის ბრიგადირი ნიკო ჩოხელი, რომელმაც 1.150 სული დედაცხვრიდან 1.257 სული ბატკანი გამოზარდა და კოლმეურნეთა სიყვარული დაიმსახურა. ამის გარდა მათ დიდად გაზარდეს ცხვრის პროდუქტიულობა. ბურთა და ნიკო ახლა გულდასმით ემზადებიან საზაფხულო იალაღებზე ცხვრის გადასარეკად.

ჩოხელები წარმატებით მოემზადნენ საზაფხულო იალაღებზე ცხვრისა და საქონლის გადასარეკად. შეკეთებული და კულტურულად მოწყობილია მწყემსთა საზაფხულო ბინები, შეძენილია რადიომიმღები, მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა. მწყემსები ზაფხულის განმავლობაში რეგულარულად მიიღებენ ჟურნალ-გაზეთებს, ნახავენ კინოსურათებს, ცხვრის ფარებს მოემსახურებიან ვეტექიმი და ზოოტექნიკოსი. კოლმეურნეობაში მალე მოეწყობა რძის გადასამუშავებელი ქარხანა. დამატებით აშენდება პირუტყვის სადგომი 3 ბინა და მწყემსებისათვის საჭირო 4 ბინა, დედაცხვართა ნახევარში ჩატარდება მეტიზაცია.

კარგად ემზადებიან პირუტყვის იალაღებზე გადასაყვანად აგრეთვე კიტოხის ჩხუბიანიშვილის, მაქართისა და დოლასქედის ბაქრაძის, ლუთხუბის ბერიას სახელობის და სხვა კოლმეურნეობები.

წელს დუშეთის რაიონის ცხვარი საზაფხულო იალაღებზე წავა. წინასწარი გამოანგარიშებით კოლმეურნეობებს სჭირდებათ 56 სეპარატორი, 60 ცალი რძის საზომი ვედრო, 400 ვედრო, 200 ბიდონი და სხვა ინვენტარი. ეს ინვენტარი რაიონის საავჭრო ორგანიზაციებს ჯერ მთლიანად არ შემოუზიდია. მომთაბარე მწყემსებისათვის ჯერ არ გამოუყვიათ საჭირო რაოდენობით ჟურნალ-გაზეთები, ლიტერატურა, არ მოუწყვიათ მოძრავი ბიბლიოთეკა, კინოაპარატი, სავაჭრო წერტილები.

ეს ნაკლოვანებები სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. სოციალისტური მეცხოველეობის მუშაკებს ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ მათი საპატიო საქმის წარმატებით შესრულებაში.

ა. თუმაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

მარინე იაშვილი—მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი

ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ პრაღაში დამთავრდა ახალგაზრდა მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსი, რომელმაც ცხადყო საბჭოთა სავიოლინო სკოლის გრწყინვალე ტრიუმფი. კონკურსში სხვა საბჭოთა მევიოლინეებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა ქართველმა გოგონამ მარინე იაშვილმა, რომელმაც დაიმსახურა სახელგანთქმული ჩეხი მევიოლინეს და კომპოზიტორის იან კუბელიკის სახელობის პრემია.

რვა-ცხრა წლის წინათ თბილისის მუსიკალური ათწლედის ერთ-ერთ კონცერტზე ვიოლინოს უკრავდა პატარა გოგონა, რომელმაც საყოველთაო ყურადღება მიიპყრო თავისი ნიჭითა და ტექნიკურად მისი ასაკისათვის ძნელ ნაწარმოებთა შესანიშნავი შესრულებით. ეს იყო მარინე იაშვილი. ამის შემდეგ მუსიკალური საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით და სიხარულით ადევნებდა თვალყურს ახალგაზრდა მევიოლინის შემოქმედებით წარმატებას, რასაც იგი ყოველ თავის კონცერტზე ამჟღავნებდა. გაბედულად და თამამად აღწევდა მარინე იაშვილი წარმატებას, სრულყოფდა შესრულების სტილს. მარინე იაშვილის დაკვრა მიმზიდველია თავისი დიდი გულწრფელობით, მაღალი ტემპერამენტით, სტილის ცოცხალი ინტერპრეტაციით.

პრაღის კონკურსზე ახალგაზრდა საბჭოთა მუსიკოსებმა უძნელესი გამოცდა ჩააბარეს 12 ქვეყნის (ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და სხვ.) შემსრულებლებთან შეჯიბრებაში. დასავლეთ ევროპის მუსიკოსთა ფორმალისტურ გაწაფულობას ჩვენმა მევიოლინეებმა დაუპირდაპირეს ღრმა, გულში ჩამწვდომი შესრულება, ის ჭეშმარიტი ოსტატობა და მაღალი მხატვრული კულტურა, რაც ახასიათებს ჩვენს შესანიშნავ საბჭოთა სავიოლინო სკოლას, შესრულების საბჭოთა სტილს. ოთხი პრემია ხუთიდან საბჭოთა მუსიკოსებმა მიიღეს. პირველი პრემია დაიმსახურა 19 წლის იგორ ბეზროდნიმ, მეორე—16 წლის ვიქტორ პიკაიზენმა, მესამე—ინგლისელმა ლოვედეიმ, მეოთხე და მეხუთე გაიყვეს 17 წლის მარინე იაშვილმა და ლეონინგრადელმა მიხეილ ვაიმანმა.

იან კუბელიკის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე მონაწილეობისათვის ერთმანეთს შეეჯიბრნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ახალგაზრდა მუსიკოსები. თბილისის კონსერვატორიის მეორე კურსის სტუდენტმა, სტალინურმა სტიპენდიატმა მარინე იაშვილმა დაიმსახურა კონკურსზე მონაწილეობის უფლება, გრწყინვალედ შეასრულა ურთულესი ნაწარმოებები და ლაურეატის წოდება მოიპოვა.

პრაღაში მრავალი ქვეყნის მუსიკოსებთან შეჯიბრებაში მარინე იაშვილმა ცხადყო შესრულების დიდი მხატვრული კულტურა და მაღალი სტილი. მან ნათლად დაგვანახვა აგრეთვე, თუ როგორ იზრდება საბჭოთა საქართველოს მუსიკალური კულტურა.

ლ. მარღანია

შემაჯამებელი მეცადინეობანი პარტისკოლის შემსწავლელ წრეებში

ჭიათურა. (საკ. კორ.). საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელმა 14 წრემ დაამთავრა პირველი სასწავლო წლის პროგრამა. მსმენელებმა საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის „მოკლე კურსის" რვა თავი შეისწავლეს. შემაჯამებელ მეცადინეობას ყველა წრეში 299 მსმენელი დაესწრო, რომელთა უმრავლესობამ გავლილი მასალის კარგად ცოდნა გამოამჟღავნა. მეცადინეობა მაღალ იდეურ დონეზე ტარდებოდა ლენინის, სტალინის სახელობის მაღაროების, საავადმყოფო-პოლიკლინიკისა და სხვა წრეებში (პროპაგანდისტები ამხ. კ. გაფრინდაშვილი, გ. ეზიაშვილი, პ. ბიწაძე). პროპაგანდისტებისათვის სისტემატურად ტარდებოდა სემინარები. ეწყობოდა საჩვენებელი მეცადინეობანი, რომელთაც ესწრებოდნენ სხვა პროპაგანდისტები, ხდებოდა მეცადინეობის გარჩევა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, აღნიშნავდნენ პროპაგანდისტის მუშაობის დადებითსა და ნაკლოვან მხარეებს.

შემაჯამებელმა მეცადინეობამ გვიჩვენა, რომ გავლილი მასალა კარგად შეითვისეს ამხ. გ. ხვედელიძემ, მ. ვერულაშვილმა (სტალინის სახელობის მაღარო), აკ. მაჭარაშვილმა (ლენინის სახელობის მაღარო), ნ. ბადურაშვილმა, ვ. აბესაძემ (მთავარი მექანიკური სახელოსნო), თ. ჩუბინიძემ, თ. ხიხაძემ (მარგანტრესტის საჭმართველო) და სხვებმა.

მსმენელებმა განაცხადეს, რომ ისინი საზაფხულო შესვენებისას კვლავ განაგრძობენ ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის შესწავლას. მომზადებული შეხვდებიან ახალ სასწავლო წელს.

ჩაის ფოთლის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

ივნისის პირველ ხუთდღიურში ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა მოკრიფეს 555 ტონა ჩაის ფოთოლი, ხოლო სეზონის დაწყებიდან სულ მოკრეფილია 2.798,3 ტონა, წლიური გეგმა შესრულებულია 22,6 პროცენტით, ივნისისა — 18,8 პროცენტით.

გონიოს ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ივნისის გეგმა შესრულებულია 30 პროცენტით, სალიბაურის — 18,5, ჩაქვის—19,9, ოჩხამურის—12,3, ცეცხლაურის—10,3, ნატანების—70, ლაითურის—24,7, ნასაკირალის — 22,2, წულუკიძის—21,6, დიდიჭყონის — 35, ლესიჭინის—12,1, ინგირის — 17,6, ნარაზენის—24,4, ხეცერის — 21,9, წალენჯიხის—18,8, აჩიგვარის — 18,3 პროცენტით.

რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური თეატრების საკავშირო დათვალიერება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის გადაწყვეტილებით ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს სსრ რაიონულ, საქალაქო და რესპუბლიკურ თეატრებში 1948-1949 წლების თეატრალურ სეზონში თანამედროვე თემაზე დაწერილი პიესების დადგმათა საკავშირო დათვალიერება.

თეატრების დათვალიერებისათვის შექმნილია რესპუბლიკური კომისია შემდეგი შემადგენლობით: ი. დოლიძე (თავმჯდომარე), ს. ჭილაია, ბ. კანდელაკი, შ. ბუაჩიძე, დ. ბენაშვილი, შ. აფხაიძე, გ. ნატრიშვილი, ერ. ქარელიშვილი, შ. დადიანი, გ. ვენაძე, ბ. ჟღენტი, შ. კილასონიძე, ი. ვაკელი.

დათვალიერების პირველ ტურში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის 12 თეატრი: ბათუმის, სოხუმის, გორის, ქუთაისის, ჭიათურის, ფოთის, თელავის, სტალინირის, ზესტაფონის, სოღნალის, ზუგდიდის და ხულოს თეატრები.

რაიონული და საქალაქო თეატრებიდან მეორე ტურში გავიდნენ სოხუმის (დირექტორი და მთავარი რეჟისორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. ჭელიძე), ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის (დირექტორი და მთავარი რეჟისორი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, რეჟისორი დ. ანთაძე), გორის (დირექტორი და მთავარი რეჟისორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ყუშიტაშვილი), ლ. ბერიას სახელობის ფოთის (დირექტორი და მთავარი რეჟისორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თ. ლორთქიფანიძე) და ჭიათურის (დირექტორი და მთავარი რეჟისორი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ბ. ფრანგიშვილი) თეატრები.

დათვალიერების მეორე ტურში, რომელიც ჩატარდება ადგილებზე, გარდა პირველ ტურში გამარჯვებული თეატრებისა მონაწილეობას მიიღებენ ქ. თბილისის თეატრები.

მეცნიერების მუშაკთა ამოცანები მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში

1949 წლის 5-9 მაისს მიმდინარეობდა ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სესია. სესია მიეძღვნა პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების საკითხებს. მთავარი მოხსენება—„საზოგადოებრივი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების ამოცანები" — წაიკითხა ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ტ. დ. ლისენკომ.

დასახულია ამოცანა, თქვა მან, მემინდვრეობასთან შედარებით ჩამორჩენილი მეცხოველეობის დარგი გადავაქციოთ მოწინავე დარგად. ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა სავსებით მართებულად აღნიშნავენ, რომ მეცნიერული მუშაობა მეცხოველეობის დარგში ჩამორჩება მეცხოველეობის განვითარების პრაქტიკულ მოთხოვნებს და იგი მრავალ შემთხვევაში დაბალ თეორიულ დონეზე წარმოებს. ამის ძირითადი მიზეზი იყო ზოოტექნიკის დარგში მრავალ მომუშავეთა მცდარი ვეისმანისტური თვალსაზრისი.

ბუნების გარდაქმნის სტალინური პროგრამა, რომელსაც საფუძვლად უდევს დოკუჩაევ-კოსტიჩევ-ვილიამსის მოძღვრება, საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარებას უზრუნველყოფს სათანადო საკვები ბაზით.

დიდი მნიშვნელობა აქვს საჯიშე მუშაობის ფორმებისა და მეთოდების საკითხებს, რომელთა გადაჭრამ უნდა უზრუნველყოს არსებული ჯიშების სწრაფი გაუმჯობესება და ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანა. საჯიშე მუშაობის წარმოება, აღნიშნა აკადემიკოსმა ლისენკომ, აუცილებელია არა მარტო საჯიშე ფერმებში, არამედ აგრეთვე სასაქონლო ფერმებში, ე. ი. ყოველ კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში, სადაც წარმოებს ცხოველთა მომრავლება-მოშენება.

საჯიშე მუშაობა სახელმწიფო ჯიშსაშენებში და საჯიშე მეურნეობებში მიზნად უნდა ისახავდეს არსებული ჯიშების გამრავლებას და მათ სრულყოფას, თვითეული ჯიშის პროდუქტიულობის გაზრდას. მათ უნდა გამოზარდონ საუკეთესო მწარმოებლები — გამაუმჯობესებლები სასაქონლო ფერმებისათვის. ამისათვის საჯიშე მეურნეობებს აუცილებელია ჰყავდეთ წმინდა ჯიშის ცხოველები. საცდელი და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და ჯიშსაშენების ამოცანა უნდა იყოს არსებული ჯიშების ძირეული გაუმჯობესება და ახალი მაღალპროდუქტიული და ადრეული ჯიშების გამოყვანა.

აკადემიკოსმა ლისენკომ აღნიშნა, რომ სასაქონლო ფერმებში ცხოველთა ვიწრო ნათესაური ძოშენება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას, ხოლო სანაშენოს და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების საჯიშე ფერმებში მათთვის დაკისრებული ამოცანის გამო ვიწრო ნათესაური ძოშენების გამოყენება არა თუ შეიძლება, არამედ მისი ამა თუ იმ დონით გამოყენება ხშირად აუცილებელი ხდება. კარგი დედაცხოველებისა და მწარმოებელთა მოხერხებული ვიწრო ნათესაური მოშენება დაიჩქარებს ახალი ჯიშების გამოყვანას და არსებული ჯიშების ძირეულ გაუმჯობესებას. ამასთან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვიწრო ნათესაური მოშენების დონე შეიძლება სხვადასხვა იყოს. ვიწრო ნათესაური მოშენების მოხერხებულად გამოყენება ნიშნავს უპირველეს ყოვლისა მონათესავე ცხოველების კარგ მოვლასა და კვებას და ამავე დროს შეფარდებით სხვადასხვა პირობებში გამოზრდას.

აკადემიკოსმა ლისენკომ მეცნიერთა, ზოოტექნიკოსთა, ვეტერინართა წინაშე დასახა ამოცანები: ჯოგის სულადობის დაჩქარებით ზრდა, მისი პროდუქტიულობის გადიდება, არსებული ჯიშების სრულყოფა და ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანა; ცხოველთა არაგადამდებ და ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკურ ღონისძიებათა დამუშავება და დანერგვა; ცალკეული სასოფლო-სამეურნეო ზონებისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის ღონისძიებათა დამუშავება; მეცხოველეობის შრომისტევადი პროცესების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის განხორციელება.

აკადემიკოს ლისენკოს მოხსენების გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა.

სესიაზე განსაკუთრებით გაესვა ხაზი მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მნიშვნელობას. ეს უნდა განხორციელდეს დოკუჩაევ-კოსტიჩევ-ვილიამსის მოძღვრების განუხრელად გატარების გზით. საჭიროდ იქნა ცნობილი საკვები კულტურების ასორტიმენტის გამდიდრება მეცნარის აკლიმატიზაციის მიჩურინული მეთოდის გამოყენების საშუალებით. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე კოლმეურნეობებში მაღალხარისხოვანი სასილოსე კულტურების სწრაფად დანერგვას. ასეთია: მზესუმზირა, საკვები მუხუდო, სორგო, სუდანური ბალახი და სხვა, რომლებიც უხვად გვაძლევენ მწვანე მასას. აღნიშნულ იქნა, რომ საქონლის ბერწიანობის და აბორტის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედით საშუალებას წარმოადგენს მათი კვება სილოსით. ეს საკვები შეიცავს კაროტინის საკმაო რაოდენობას, რომელიც ცხოველებს თავიდან ააცდენს ავიტამინოზს. ამასთან სილოსი, როგორც მწვანე საკვების საუკეთესო კონსერვი, საერთოდ დადებითად მოქმედებს ორგანიზმზე. სესიამ საჭიროდ ცნო სილოსის რეცეპტურის დამუშავება ცხოველთა პროდუქტიულობისა და ასაკის შესაბამისად. აღინიშნა, რომ საჭიროა კვების არსებულ ნორმებში დიდი კორექტივების შეტანა, ტიპიური საკვები ულუფებისა და კვების ნორმების დადგენა ცხოველის ინდივიდუალურ თავისებურებების, მისი მოთხოვნილებისა და სიცოცხლის სხვადასხვა პერიოდში საკვების ათვისების უნარის მიხედვით.

სესიაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აგრეთვე არსებულ ჯიშთა მკვეთრად გაუმჯობესებისა და ახალ ჯიშთა შექმნის ღრმა მეცნიერული მეთოდების დამუშავების აუცილებლობას მიჩურინ-ლისენკოს მოძღვრების საფუძველზე, საჯიშე საქმის ყოველმხრივ გაუმჯობესებას ცხოველთა პროდუქტიულობის განუხრელი ზრდის მიმართულებით. ამასთან დაკავშირებით საჭიროა დამუშავდეს ჯოგის სწრაფი მოშენების მეთოდები. ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული აკადემიკოს მ. ივანოვის მუშაობის მეთოდები მეცხოველეობის დარგში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხაზობრივ მოშენებას ჯიშის ფარგლებში, ჯოგისა და ფარის ფარგლებში. უნდა დამუშავდეს საჯიშე ფარებისა და ჯოგების ორგანიზაციის საკითხები.

აღინიშნა, რომ მთელ რიგ რაიონებში ცხვარს ბატკნების მოცემა შეუძლია წლის სეზონებისაგან დამოუკიდებლად, ღორის მსგავსად. არსებობს ორი წლის განმავლობაში სამი დოლის ჩატარების რეალური შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მეცხოველეობის დარგში სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების ქსელის გადაადგილების საკითხის დამუშავების აუცილებლობას. დიდი ამოცანები დგას უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო და ზოოტევერინარული ინსტიტუტების წინაშე მეცხოველეობის დარგში უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოსამზადებლად.

სესიაზე დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი ინფორმაციები მიჩურინული ბიოლოგიის ახალ მიღწევებზე მეცხოველეობის დარგში. მეცხვარეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ დადგენილია, რომ მატყლის ჩამოყალიბება ხდება ბატკნის ემბრიონალური განვითარების მეორე ნახევარში და გრძელდება ბატკნის დაბადებიდან ორი თვის განმავლობაში. ამიტომ ხშირი მატყლის განვითარებისათვის ამ პერიოდში საჭიროა დედაცხვრისა და ბატკნის უზრუნველყოფა მოვლისა და კვების საუკეთესო პირობებით.

